ივანე ჯავახიშვილის სახელმობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

მედიცინის ფაკულტეტი

სამაგისტრო პროგრამის დასახელება:

საზოგადოებრივი ჯანდაცვა (**Public Health)**

მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი:

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრი

სწავლების ძირითადი დარგი/სპეციალობა:

საზოგადოებრივი ჯანდაცვა

<u>**პროგრამის მოცულობა კრედიტებით**</u> - 120 ECTS კრედიტი

სამაგისტრო პროგრამის ხელმძღვანელი:

ნატა ყაზახაშვილი, MD PHD, თსუ ასოცირებული პროფესორი, საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი

პროგრამაზე მიღების წინაპირობები:

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველს უნდა ჰქონდეს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხი (დიპლომი). სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველებმა უნდა ჩააბარონ ერთიანი სამაგისტრო ეროვნული გამოცდა და გამოცდა სპეციალობაში.

სამაგისტრო პროგრამის საკვალიფიკაციო დახასიათება:

საზოგადოებრივი ჯანდაცვა წარმოადგენს შედარებით ახალ, ძალზე სწრაფად მზარდ დისციპლინას. იგი შეისწავლის თუ რა ზეგავლენას ახდენს ადამიანის ჯანმრთელობაზე სოციალურ-ეკონომიკური, დემოგრაფიული, ბიოლოგიური, ფსიქოლოგიური და გარემო ფაქტორები; აგრეთვე ჯანდაცვის სისტემის მოწყობის და მართვის საკითხებს. პროგრამის მიზანს წარმოადგენს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანდაცვის ორგანიზაციისა და მენეჯმენტის ფუნდამენტურ საკითხებში მაგისტრანტთა ღრმა და საფუძვლიანი სწავლება, ანალიტიკური აზროვნების განვითარება და პრაქტიკული უნარ-ჩვევების გაღრმავება, კერძოდ: საქართველოს ძირითადი დემოგრაფიული და სოციალური მიმართულებების, ჯანდაცვის ეროვნული პოლიტიკის, ჯანდაცვის განვითარების სტრატეგიული გეგმის, ჯანდაცვის პრიორიტეტების, სხვა ქვეყნების ჯანდაცვის სისტემების, საქართველოს ჯანდაცვის სისტემის მოწყობის, სისტემის სტრუქტურის, პირველადი ჯანდაცვის სისტემის მართვის, ჰოსპიტალური მენეჯმენტის, მოსახლეობის სპეციფიკური ჯგუფების ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის, ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მოსახლეობის საჭიროების შეფასების, სამედიცინო სერვისების სამედიცინო ბაზარზე მიწოდების, სამედიცინო მომსახურების შესყიდვის, ჯანდაცვის კანონმდებლობის და სხვათა შესახებ.

საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამაგისტრო პროგრამის მიზანია მაგისტრანტები დაეუფლონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის ბაზისურ თეორიულ, მეთოდოლოგიურ და კვლევით პრინციპებს; გაეცნონ საზოგადოებრივი ჯანდაცვის პრაქტიკასთან დაკავშირებულ პროფესიულ და კონტექსტუალურ საკითხებს.

სწავლის შედეგები:

ცოდნა და გაცნობიერება

საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრს ექნება ცოდნა, რომელიც დაეფუძნება უმაღლესი განათლების პირველ საფეხურზე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მიღებულ განათლებას, მაგისტრანტი გააღრმავებს თავის ცოდნას ჯანდაცვის

ორგანიზაციაში, ეპიდემიოლოგიაში, ბიოეთიკასა და სამედიცინო სამართალში, გარემოს ჯანმრთელობის და სხვა უმნიშვნელოვანეს საკითხებში. გააცნობიერებს საზოგადოებრივი ჯანდაცვის, როგორც მეცნიერების სახელმწიფოებრივ მნიშვნელობას. მეცნიერული კვლევის ჩატარების თაობაზე მიღებული ცოდნის საფუძველზე შეძლებს დამოუკიდებლად დაგეგმოს კვლევა და უზრუნველყოს იდეის ორიგინალური განვითარება.

ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების უნარი

მაგისტრანტს შეეძლება მიღებული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენება. მიღებული ცოდნის საფუძველზე ექნება პრობლემის დანახვის და მის გადასაჭრელად წინადადებების მომზადების უნარი. მაგისტრანტი შეძლებს ცოდნის გამოყენებას პრაქტიკული საქმიანობის დროს ახალ და უცნობ გარემოში, თავის სპეციალობასთან დაკავშირებულ ან მომიჯნავე (მულტიდისციპლინურ) კონტექსტში; ექნება ცოდნის ინტეგრირების უნარი, შეძლებს თავი გაართვას სირთულეებს და არასრულ ან შეზღუდულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ჩამოაყალიბოს მოსაზრებები, რომლებშიც პრობლემის გადასაჭრელად გამოთქმული მოსაზრებების გამოყენებასთან დაკავშირებული სოციალური და ეთიკური პასუხისმგებლობებიც აისახება;

დასკვნის უნარი

მაგისტრანტს შეეძლება თავისი დასკვნების საჯაროდ წარმოდგენა, მისი მკაფიო დასაბუთება შესაბამისი ცოდნითა და ლოგიკით, როგორც სპეციალისტებთან, ისე არასპეციალისტებთან; კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია: მეცნიერულ მტკიცებულებაზე დაფუძნებული საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ მოძიებული ინფორმაციის (მათ შორის რთული და არასრული ინფორმაციის, ასევე უახლესი კვლევების გამოყენებით) კრიტიკული ანალიზის საფუძველზე დასაბუთებული დასკვნების ჩამოყალიბება. მოვლენების ერთმანეთთან დაკავშირება და უახლეს მონაცემებზე დაყრდნობით ინფორმაციის ინოვაციური სინთეზი;

კომუნიკაციის უნარი

კურსის წარმატებით დასრულების შემდეგ სტუდენტს შეუძლია:

ვერბალური კომუნიკაციის და სხვადსხვა თანამედროვე საკომუკიციო ტექნოლოგიების გამოყენებით შესრულებული სამუშაოს შინაარსის, პრობლემის აქტუალობის, საკუთარი დასკვნების, მოსაზრებების და არგუმენტაციის, ასევე კვლევის მეთოდების შესახებ ინფორმაციის მიწოდება აკადემიურ თუ პროფესიულ საზოგადოებასთან ქართულ და უცხოურ ენებზე, განსხვავებული აზრის მოსმენა, ოპონირება და საკუთარი აზრის დასაბუთება არგუმენტირებულად, იქ სადაც შესაძლებელია მეცნიერული მტკიცებულებებზე დაყრდნობით. აზრის გამოთქმა მეცნიერული კეთილსინდისიერების, აკადემიური პატიოსნების სტანდარტებისა და საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მიღწევათა გათვალისწინებით;

სწავლის უნარი

სასწავლო პროგრამის წარმატებით დასრულების შემდეგ მაგისტრანტი შეეძლება:

აუდიტორულ მეცადინეობაზე აქტიურობა, სასწავლო პროცესში ინტენსიური მონაწილეობა. სწავლის დამოუკიდებლად წარმართვა; სასწავლო პროცესის თავისებურებების გაცნობიერება; დროის მენეჯმენტი -პროგრამით გათვალისწინებული საკითხების შესასწავლად დროის ეფექტურად განაწილება, სწავლის პერიოდში შესრულებული სამუშაოების ჩასაბარებლად დადგენილი ვადების დაცვა; სასწავლო კურსის დასრულების შემდეგ მაგისტრანტს ექნება უმაღლესი განათლების მესამე საფეხურზე სწავლის გაგრძელების სურვილი, რის საფუძველსაც ქმნის საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე მუშაობისას წარმოჩენილი უცნობი, რთული და მასშტაბური საკითხების შემდგომი შესწავლის აუცილებლობის დადგენის უნარი. მაგისტრანტი შეძლებს მომავალში შესასწავლი საკითხებიდან პრიორიტეტების განსაზღვრას და სწავლის სწორედ დაგეგმვას.

ღირებულებები

სასწავლო პროგრამის დაძლევის შემდეგ მაგისტრანტი შეძლებს დაინახოს ის ფასეულობები და ღირებულებები, რომლებიც აუცილებელია საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში მოღვაწეობისთვის. სასწავლო პროცესში სხვადასხვა საკითხების თუ შემთხვევების განხილვის შემდეგ მაგისტრანტს ექნება გათავისებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროში აღიარებული ეთიკური, მორალური და ზნეობრივი ღირებულებები; ასევე საზოგადოების წევრებთან, პაციენტთან, მის წარმომადგენლებთან და კოლეგებთან ურთიერთობისას საყოველთაოდ აღიარებული ფასეულობების დაცვის მნიშვნელობა. მაგისტრანტს გამოუმუშავდება ღირებულებები იმასთან დაკავშირებით, რომ საზოგადოებრივი ჯანდაცვის საკითხებზე მუშაობა, ზოგადად ჯანდაცვის სფეროში მოღვაწობა მოითხოვს ჰუმანურ პრინციპებებზე, ურთიერთპატივისცემაზე, ნდობაზე და კაცთმოყვარეობზე აგებულ ურთიერთობებს. მაგისტრანტი მიიღებს რა ცოდნას საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სფეროში მიღებული და აღიარებული ღირებულებების, ზნეობრივი და მორალური ფასეულობების შესახებ, შესაძლებლობა ექნება გამოხატოს ღირებულებებისადმი თავისი დამოკიდებულება, ასევე შეძლებს სხვების დამოკიდებულების შეფასებას და პატივისცემას, ახალი ღირებულებების ფორმირების პროცესში მონაწილეობას და მათ დამკვიდრებაში წვლილის შეტანას.

სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები:

სწავლების პროცესში გამოიყენება სწავლების შემდეგი ფორმები:

- ინტერაქტიური ლექციები
- სემინარები
- კოლოკვიუმები
- პრეზენტაციები

<u>სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:</u>

სტუდენტის ცოდნის შეფასება შემდეგი სისტემის მიხედვით განისაზღვრება: “ფრიადი“, “ძალიან კარგი“, “კარგი”, “საშუალო”’, ”დამაკმაყოფილებელი“, “არადამაკმაყოფილებელი“, “სრულიად არადამაკმა ყოფილებელი”.

სტუდენტის შეფასება წარმოებს შემდეგი პრინციპით:

ქულათა მაქსიმალური რაოდენობა	შეფასება	შეფასების კლასიფიკაცია	შეფასება
91 -100	“ფრიადი”	დადებითი	(A) „ფრიადი“
81 – 90	“ძალიან კარგი”	დადებითი	(B) „ძალიან კარგი“
71 – 80	“კარგი”	დადებითი	(C) „კარგი“
61 – 70	“საშუალო”	დადებითი	(D) „დამაკმაყოფილებელი“
51 – 60	“დამაკმაყოფილებელი”	დადებითი	(E) „საკმარისი“
41 – 50	“არადამაკმაყოფილებელი”	უარყოფითი	(FX) „ვერ ჩააბარა“ (ეძლევა ხელახლა გამოცდაზე გასვლის უფლება
0 – 40	“სრულიად არადამაკმაყოფილებელი”	უარყოფითი	(F) „ჩაიჭრა“ (საგანი ხელახლა აქვს შესასწავლი)

სტუდენტის მიერ შესაბამის სწავლების სახეობაზე (ლექცია, სემინარი და სხვა) საშუალედო შემოწმებების შეფასებებითა და დასკვნითი შეფასებით დაგროვილ ქულათა რაოდენობით განისაზღვრება მისი საბოლოო ნიშანი კონკრეტულ დისციპლინაში.

2017/2018 სასწავლო წელი

სამაგისტრო პროგრამა ”საზოგადოებრივი ჯანდაცვა” (**Public Health)**

პროგრამის ხელმძღვანელი: ნატა ყაზახაშვილი, MD PHD. თსუ ასოცირებული პროფესორი

სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურა

##	საგნის დასახელება	საგნის სტატუსი: სავალდებულო, არჩევითი	კრედიტების რაოდენობა	კრედიტების განაწილება				
				სემესტრები				
				I	II	III	IV	შენიშნვა
1	ეპიდემიოლოგია	სავალდებულო	15	5	5	5		
2	გარემოს ჯანმრთელობა	სავალდებულო	15	5	5	5		
3	ჯანდაცვის ორგანიზაცია და მენეჯმენტი	სავალდებულო	15	5	5	5		
4	ბიოეთიკისა და სამედიცინო სამართლის საფუძვლები	სავალდებულო	15	5	5	5		
5	ბიოსტატისტიკა, ჯანდაცვის საინფორმაციო სისტემები	სავალდებულო	15	5	5	5		
6	ინგლისური ენა	სავალდებულო	10	5	5			
7	საკურსო	არჩევითი	5			5		

	ნაშრომი ან ელექტიური კურსები: სოციალური ფსიქოლოგია ან ჯანმრთელობის ხელშეწყობა და დაავადებათა პრევენცია							
8	სამაგისტრო ნაშრომი	სავალდებულო	30				30	
9	სულ:		120	30	30	30	30	

მაგისტრანტთა დასაქმების სფეროები

პროგრამის დასრულების შემდეგ მაგისტრანტი მომზადებული იქნება დამოუკიდებელი შრომითი საქმიანობისათვის, მის მიერ სწავლის პერიოდში შეძენილი უნარ-ჩვევები საშუალებას მისცემს დასაქმდეს სახელმწიფო ან კერძო სექტორში. ადგილობრივი მმართველობის ორგანოებში, სამთავრობო, თუ არასამთავრობო ორგანიზაციებში, საზოგადოებრივი ჯანდაცვის რაიონულ, რეგიონულ ან ცენტრალურ სტრუქტურებში, სადაზღვევო კომპანიებში, ფარმაცევტულ სექტორში, სამედიცინო დაწესებულებებში. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მაგისტრის აქტივობის არეს წარმოადგენს უპირველეს ყოვლისა საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახურები, რაიონულ, რეგიონულ და ცენტრალურ დონეზე, აგრეთვე ის სტრუქტურები, სადაც ხდება ჯანმრთელობის დაცვის სფეროში ეროვნული პოლიტიკის შემუშავება (მაგ. შრომის, აჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო, განათლების სამინისტრო, საპარლამენტო კომისიები), საზოგადოებრივი ჯანდაცვის, ჯანმრთელობის დაცვის საკითხებზე ფოკუსირებული არასამთავრობო თუ საერთაშორისო ორგანიზაციები, კვლევითი ორგანიზაციები, სამედიცინო და საგანმანათლებლო დაწესებულებები, სარეაბილიტაციო ცენტრები. მაგისტრის ხარისხის მქონე საზოგადოებრივი ჯანდაცვის სპეციალისტები შეძლებენ მუშაობას კვლევით, სოციალური პოლიტიკის განმსაზღვრელ სახელმწიფო სტრუქტურებში, საერთაშორისო ორგანიზაციებში მკვლევარის ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის

კონსულტანტის და ასისტენტის თანამდებობებზე, მაგისტრატურის პერიოდში სამეცნიერო მუშაობის წარმართვის უნარ-ჩვევების განვითარება მათ ასევე საშუალებას მისცემს სწავლა გააგრძელონ დოქტორანტურაში.

საერთაშორისო თანამშრომლობა

თსუ მედიცინის ფაკულტეტი და საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპატამენტი 2017-2018 სასწავლო წლებში დაგეგმილია რამდენიმე საერთაშორისო პროექტის განხორციელება, სადაც გათვალისწინებულია მაგისტრანტების აქტიური ჩართულობა, წარჩინებული სტუდენტებისთვის გასვლა უცხოეთის უნივერსიტეტებში. ამავე პროექტების ფარგლებში განხორციელდება საზოგადოებრივი ჯანდაცვის პროგრამის სწავლებისთვის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის სრულყოფა.